ლენტეხის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს სოციალურ საკითხთა

კომისიის სხდომა

N09

2.12. 2025 წ.

დ. ლენტეხი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს სოციალურ საკითხთა

კომისიის სხდომა

N06

2.12. 2025 წ.

დასწრების ფურცელი :

1. ცირა ლიპარტელიანი: /კომისიის თავმჯდომარე/
2. მარეხი ონიანი: /კომისიის წევრი/
3. ზურაბ ონიანი: / კომისიის წევრი/
4. გოგი ონიანი: / კომისიის წევრი/
5. დალი ტვილდიანი: /კომისიის წევრი/

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სოციალურ საკითხთა კომისიის

თავმჯდომარე: / ც. ლიპარტელიანი/

ლენტეხის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს სოციალურ საკითხთა

კომისიის სხდომა

N 0 6

2.12. 2025 წ.

დღის წესრიგი :

ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი პირის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ანგარიში მიმდინარე წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

/ მომხ. გ. ონიანი/

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სოციალურ საკითხთა კომისიის

თავმჯდომარე : [illegible] /ც. ლიპარტელიანი/

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სოციალური კომისიის სხდომა

ოქმი N 09

დ. ლენტეხი 2.12. 2025 წ.

მ/წ. 2 დეკემბერს, დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ : სოციალური კომისიის თავმჯდომარე ცირა ლიპარტელიანი, კომისიის წევრი ზურაბ ონიანი, კომისიის წევრი დალი ტვილდიანი, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ელდარ ლიპარტელიანი, საკრებულოს თავმჯდომარე თავმჯდომარე დავით პირველი, სივრცით-ტერიტორიული დაფეგმარების და ინფრეასრუქტურის კომისიის თავ-რე მევლუდ ლიპარტელიანი, საკრებულოს აპარატის მთავარი სპეციალისტი მაყვალა ბენდელიანი, სხდომის მდივანი ესმა მუკბანიანი.

კომისიის თავმჯდომარემ ც.ლიპარტელიანმა კომისიას გააცნო დღის წესრიგი შემდეგი საკითხით:

1. ლენტეხის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ანგარიში მიმდინარე წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

/ მომხ. გ. ონიანი /

დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოთქმულა.

მოისმინეს: საზოგადოებრივი ჯანდაცვის ხელმძღვანელმა გოგი ონიანმა სხდომას მოახსენა, რომ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ძირითადი მიზანი ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანების ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნაა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება და მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესება.

საქართველოში საზოგადოებრივი ჯანდაცვა შეიქმნა 1990-1996 წლებში, ამერიკელი მეცნიერის მიერ. მისი საქართველოში არსებობის საჭიროება და ფუნქციები კიდევ უფრო იზრდება.

ბატონმა გ. ონიანმა აღნიშნა, რომ გეგმურად ტარდება თოთხმეტ წლამდე ასაკის მოზარდთა აცრები. ასაცრელი მასალა განთავსებულია მაცივრებში. ცივი ჯაჭვის სისტემა აწყობილია, რომლის გამართულობაზე და დაკვირვებაზე გამოყოფილია ერთი პირი.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მომარაგებას მაცივრებით, გადასატანი ყუთებით და ასაცრელი მასალით უზრუნველყოფს სახელმწიფო.

ოქტომბრის თვისთვის შემოტანილი იქნა გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინა 1050 ცალი.

ვაქცინა არის ოთხ კომპონენტიანი. შმდგომ კიდევ მოხდა 150 ცალის შემოტანა.

პირველ რიგში იცრებიან რისკფაქტორების მქონე პირები: ქრონიკული დაავადებით დაავადებულნი, დიაბეტიანები, სკოლისა და საბავშვო ბაღების პედაგოგები

აცრა არის ნებაყოფილობითი. არიან ანტივაქსერები, რომელთა ცნობიერების დონის ამაღლებაზე, მუდმივად გაწერილი გეგმის თანახმად მუშაობენ თანამშრომლები.

ამჟამად გახარჯულია ათასი ცალი ვაქცინა. აცრებს ახორციელებენ უბნის ექიმები.

მომხსენებელმა განაცხადა, რომ წელს დაფიქსირდა ძაღლებისაგან დაკბენილთა 76 შემთვევა. საზ. ჯანდაცვის რაიონული ცენტრი უზრუნველყოფილია ანტირაბიული ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინით და დროულად მოხდა ამ ადამიანების აცრა.

გ. ონიანმა წუხილი გამოთქვა, რომ საზოგადოებრივ ჯანდაცვის ცენტრს ცალკე შენობა არ გააჩნია, ის განთავსებულია რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრის შენობაში და მოითხოვა, რომ რაიონის მუნიციპალიტეტის საკრებულო ჩაერთოს, შენობისთვის მიწის მოძიების პროცესში; შემდგომ კი სახელმწიფო უზრუნველყოფს თანამედროვე სტანდარტებით გათვალისწინებულ პროექტის შექმნას და მშენებლობას.

გადაწყვიტეს: მოსმენილი ანგარიში - ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი პირის საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმდინარე წელს გაწეული მუშაობის შესახებ შეფასდეს დადებითად.

სხდომა დასრულდა 14 საათზე.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სოციალური კომისიის

თავმჯდომარე: /ფ.ლიპარტელიანი/

საქართველო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

წერილის ნომერი: 97-97253356
თარიღი: 01/12/2025

ადრესატი: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: დაბა ლენტეხი, თამარ მეფის ქ 24

ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ გიორგი ვაზდელიანს

ბატონო გიორგი,

მიმდინარე წლის 19 ნოემბერს ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა სოფლების - კახურის, ლასკადურის, მელურის მოსახლეობის ერთობლივი განცხადება. განცხადება ეხება მთა დაბიერის მიმართულებით გზის რეაბილიტაციას და ლუორის ხიდის კაპიტალურ შეკეთებას.

საკითხი დეტალურად განიხილა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის ირაკლი ქურასბედიანის და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის მიერ.

აღნიშნული გზა არის სასოფლო სამეურნეო დანიშნულების და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობისთვის. მას აქტიურად იყენებენ საძოვრებისთვის, სათიბებისთვის და საზამთროდ შეშის მოსამარაგებლად.

გთხოვთ, თქვენი კომპეტენციის ფარგლებში დაავალოთ მერიის შესაბამის სამსახურს აღნიშნული საკითხის შესწავლა და შესაძლებლობის ფარგლებში მოხდეს მისი მოგვარება.

(განცხადება თან ერთვის)

პატივისცემით,

დავითი პირველი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიცური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი